პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

თამარ რემიშვილი

წევრები:

ქეთევან ჯანელიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ პროფესიული კოლეჯი „ბლექსი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: სსიპ

საიდენტიფიკაციო კოდი: 245610398

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული კოლეჯი

☐ საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ პროფესიულ კოლეჯში „ბლექსი“ 2018 წლის 23-24 აგვისტოს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

ვიზიტის მიზანი იყო პროფესიული საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „კულინარიის ხელოვნება“ და „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება პროფესიული სტუდენტების ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით.

კერძოდ თითოეული პროგრამისთვის კოლეჯს სურვილი აქვს პროფესიული სტუდენტების ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 60 პროფესიული სტუდენტით. ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 22 სექტემბრის N48 გადაწყვეტილებით პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენს პროგრამებისთვის „კულინარიის ხელოვნება“ – 15 და „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ - 40.

ვიზიტი მიმდინარეობდა კომფორტულ ვითარებაში, ორი დღის განმნავლობაში ჩამოყალიბდა კონსტრუქციული თანამშრომლობა ექსპერტებსა და დაწესებულების წარმომადგელებს შორის.

ექსპერტების მიერ გადამოწმდა პროგრამები ავტორიზაციის სამივე სტანდარტის მიხედვით, მოხდა დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, მასწავლებლებთან, ინსტრუქტორებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრება ასევე კოლეჯის მატერიალური რესურსის შემოწმება, პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება და სხვა წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის დღის წესრიგის მიხედვით. **(დანართი 1)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		მუხლი 6	■	□
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	მუხლი 6 / პუნქტი ა)	■	□
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	მუხლი 6 / პუნქტი ბ)	■	□
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	მუხლი 6 / პუნქტი გ)	■	□
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და	მუხლი 6 / პუნქტი დ)	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

	შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები			
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	□
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	□
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	■	□
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	□
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	□
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	□
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	□
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	□
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	□
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	□
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	□
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 /**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

		პუნქტი ვ.გ)		
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)	■	□
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	მუხლი 7 / პუნქტი ზ)	■	□
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	მუხლი 7 / პუნქტი თ)	■	□
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	მუხლი 7 / პუნქტი ი)	■	□
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	□
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	□
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	□
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	□

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

VI. რეკომენდაციების შეჯამება

ექსპერტების მხრიდან ვიზიტის დროს დაფიქსირებული რეკომენდაციები :

<u>1.კატალოგის გაუმჯობესებისთვის</u>

ქვესტანდარტი 1.2 - დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;

ვინაიდან კატალოგი წარმოადგენს სარეკლამო/საინფორმაციო დოკუმენტს, სასურველია მასში აისახოს დამატებითი ინფორმაციაც:დაწესებულების მიერ მიწოდებული სხვა სერვისების, აქტივობების, მიღწევების შესახებ, ასევე ფოტოებს და სხვა. დაწესებულებას შეუძლია კატალოგში აგრეთვე ასახოს:

- დაწესებულების ისტორია;
- აკადემიური კალენდარი;
- ინფორმაცია სტუდენტების მიღების შესახებ;
- პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი;
- ინფორმაცია პრგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ;
- ჩართულობა სხვადასხვა პროექტებში;
- პრაქტიკა პარტნიორ ორგანიზაციებში;
- წარმატებული კურსდამთავრებულების შესახებ ინფორმაცია

<u>2.ტექნიკური პრობლემის აღმოფხვრისთვის</u>

ქვესტანდარტი 3.1- დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;

დოკუმენტში - სსიპ პროფესიული კოლეჯის „ბლექსი“ დირექტორის ბრძანება N 1-02/123 24/08/2018 საშტატო საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ - საკვალიფიკაციო მოთხოვნებში ერთ-ერთი მთავარი საკვალიფიკაციო მოთხოვნაა „**უმაღლესი აკადემიური განათლება“,** რომელიც უნდა შეიცვალოს ტერმინით **„ აკადემიური უმაღლესი განათლება“.**

<u>3.სამოქმედო გეგმის გაუმჯობესებისთვის:</u>

ქვესტანდარტი 2.9- შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

სასურველია დაწესებულების სამოქმედო გეგმებში გაიწეროს სამუშაოს შესრულების ვადები უფრო დაზუსტებულად და განისაზღვროს შესრულების ინდიკატორები.

VII. დაწესებულების მისია

კოლეჯის მისიაა იყოს რეგიონში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ლიდერი დაწესებულება, რომელიც განვითარებაზე ორიენტირებული პროფესიული სწავლების მოქნილი შიდა სისტემის ჩამოყალიბებით მომხმარებელს, ყველა დაინტერესებულ პირს შესთავაზებს ხარისხიან პროფესიულ განათლებას და სოციალური პარტნიორობის გაძლიერებით ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა, პროფესიულ სტუდენტთა კარიერულ წინსვლას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის მიზნებიდან გამომდინარე გადამოწმებული იქნა სსიპ პროფესიული კოლეჯი „ბლექსის“ მიერ წარმოდგენილი ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: „კულინარიის ხელოვნება'' და „ინფორმაციის ტექნოლოგია“. ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 22 სექტემბრის N48 გადაწყვეტილებით პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენს პროგრამებისთვის „კულინარიის ხელოვნება“ – 15 და „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ -40. თითოეული პროგრამისთვის კოლეჯს სურვილი აქვს პროფესიული სტუდენტების ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 60 პროფესიული სტუდენტით („კულინარიის ხელოვნება“ – 60 და „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ -60. კულინარიის ხელოვნების განხორციელებას დაწესებულება გეგმავს ორივე მიდგომით (დუალური სწავლების მიდგომით და დაწესებულებაში განსახორციელებელი) ჯამში 60 პროფესიული სტუდენტით .)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებულია- პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირის- დირექტორის მიერ;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილების შეტანის და დამტკიცების პროცედურა,პროცედურა ითვალისწინებს კონკრეტული პროგრამის განხორციელების, ასევე სწავლების მიდგომის (დუალური სწავლების მიდგომით და დაწესებულებაში განსახორციელებელი) შესახებ გადაწყვეტილების მიღების დასაბუთების აუცილებლობას;

ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ დაცულია პროგრამის დამტკიცების და მასში ცვლილებების შეტანისთვის დადგენილი პროცედურა;
საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები; პროგრამებს აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, ახლავს სასწავლო გეგმები და მოდულები. თითოეულ პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამები და მოდულები გადამუშავებულია/ადაპტირებულია.

დაწესებულების წარმომადგენელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ გადამუშავება/ადაპტირება მოხდა კოლეჯის დირექტორის მოადგილესთან კოორდინირებით მასწავლებლებისა და პროგრამების ხელმძღვანელების მიერ ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმძღვანელობით.
ექსპერტების მიერ შემოწმდა სასწავლო გეგმა, სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის შესაბამის მოდულებში განსაზღვრული წინაპრობები და სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ გადამოწმებულ იქნა კოლეჯში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები. ასევე, ერთ-ერთი პროგრამისთვის შემუშავებული ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა, თუ როგორ ახორციელებს დაწესებულება საგანმანათლებლო პროცესს ასეთ შემთხვევაში. გეგმა თანხვედრაშია შემუშავების მექანიზმებში გაწერილ პროცედურებთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“ ხორციელდება ადგილზე(დაწესებულებაში) და კოლეჯის სასწავლო გარემო უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას , კოლეჯში ფუნქციონირებს CISCO -ქსელური აკადემია. აღნიშნული პროგრამა პროფესიულ სტუდენტებს საშუალებას აძლევსპარალელურად აიღონ Cisco- ს საერთაშორისო ქსელური აკადემიის სერტიფიკატი.

,,ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს შემდეგი ფაქტორები:

1. რეგიონის განვითარების შესაბამისად პროგრამა მოთხოვნადია შრომის ბაზარზე;
2. IT მიმართულების პროგრამები ძალინ მოთხოვნადია აპლიკანტთა მხრიდან;
3. კოლეჯში გაძლიერდა სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი, რაც დამატებით ახალი ნაკადის (1 ჯგუფი - 20 პროფესიული სტუდენტი) მიღების შესაძლებლობას იძლევა;

დაწესებულება გეგმავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კულინარიის ხელოვნება“ ორი მიდგომით განხორციელებას. ამ მიდგომასა და და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს შემდეგი ფაქტორები:

1. აჭარა ტურისტული რეგიონია და პროგრამა არის შრომის ბაზარზე ერთ- ერთი ყველაზე მოთხოვნადი პროგრამა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

2. პროგრამის დუალური მიდგომით განხორციელებისა და კვოტის გაზრდის სურვილი გამოხატა ჯამში რვა კომპანიამ და გაიზარდა პროფესიული სტუდენტების ადგილების ზღვრული რაოდენობა ხელშეკრულებების ფარგლებში;
3. კოლეჯს აქვს მზარეულის პროგრამის კოლეჯში განხორციელების ცხრაწლიანი გამოცდილება. პროგრამა ყველაზე მოთხოვნადია როგორც შრომის ბაზრის, ასევე, აპლიკანტთა მხრიდან.

ექსპერტებმა დაათვალიერეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კულინარიის ხელოვნება“ განკუთვნილი კოლეჯის სიმულაციური გარემო-სამზარეულო, სადაც მიმდინარეობს რეალურ საწარმოო გარემოსთან მიახლოებული პროცესები და სწავლის შედეგების მიღწევა ხდება ადგილზე.

დუალური პროგრამის ეფექტურად განხორციელებისთვის, მდგრადობის/სტაბილურობის შენარჩუნებისათვის და პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვის უზრუნველყოფისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს შემდეგი მექანიზმები:

1.კომპანიას (სასატუმრი ჰილტონი), კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული აქვს სამმხრივი მემორანდუმი. მემორანდუმის ვადა განსაზღვრულია პროგრამის ვადით, მასში მემორანდუმის ხელმომწერთათვის გაწერილია მათი უფლებები და ვალდებულებები.

2.კოლეჯის მიერ შემუშავებულია მექანიზმი, დუალური პროგრამის ფარგლებში, პარტნიორი კომპანიის მიერ შერჩეული პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფისთვის. ამ მექანიზმების საფუძველზე პროფესული სტუდენტის გადაყვანა სხვა პარტნიორ კომპანიაში შესაძლებელი იქნება პროფესიული სტუდენტისა და კომპანიის თანხმობის შეთხვევაში, კომპანიასთან გაფორმებული კვოტის ფარგლებში . გადაყვანის ფორმა(დროებითი ან მუდმივი) წარმოადგენს ოთხმხრივი შეთანხმების საგანს(კოლეჯი, პროფესიული სტუდენტი, არსებული პარტნიორი კომპანია და ალტერნატიული კომპანია).

პროფესიული პროგრამის ''კულინარიის ხელოვნება“ განხორციელებისათვის კოლეჯს ამ ეტაპზე ჰყავს რვა პარტნიორი ორგანიზაცია, რომლებთანაც გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები. ამ ორგანიზაციებში სტუდენტების საერთო კვოტა განისაზღვრა 62 ადგილით. პროფესიულს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა გათვლილია ორ სასწავლო წელზე. იხილეთ უფრო დეტალური ინფორმაცია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

1. შპს ,,ტურინვესტი’ (სასტუმრო ,,Hilton Batumi”) - №94; 14.08.2017 (შეთანხმებები: №1 18.10 17; ; №2; 01.07; 18) ; პროფესიულ სტუდენტთა კვოტა - 12;
2. შპს ,,ქარაფი“ (სასტუმრო ,,Castello Mare”) - №93; 14.08.2017 (შეთანხმება - №1; 02.07.18) ; პროფესიულ სტუდენტთა კვოტა - 10;
3. შპს ,,არგო მენჯმენტი (,,სასტუმრო რედისონ ბლუ ბათუმი) - №55; 16.07.18 ; პროფესიულ სტუდენტთა კვოტა - 12;
4. სს ,,ნუროლ ინშაათ ვე თიჯარეთი“ - ს წარმომადგენლობა საქართველოში - (სასტუმრო ,,შერატონ ბათუმი“) - №62; 23. 07. 18; პროფესიულ სტუდენტა კვოტა - 12
5. შპს ,,აქთ ივ ბათუმი“ , (სასტუმრო ,Windham Batumi”) - №59; 23.07.18; პროფესიულ სტუდენტა კვოტა - 6;
6. შპს ,,აფენდდაუნი“ – (რესტორანი ,,ყირამალა“ - №31; 05.05.18; პროფესიულ
სტუდენტა კვოტთა - 3;
7. შპს ,,ლიბერთი ოტელ (სასტუმრო ,,ინტურისტი“) – №65; 27.07.18 ; პროფესიულ სტუდენტთა კვოტა - 2;
8. შპს ,,მერსინ ტურიზმი“ (სასტუმრო ,,WELMOND” - ხელშეკრულება №95; 14.08.2017; პროფესიულ სტუდენტთა კვოტა - 5;

ვიზიტის პერიოდში მოხდა პრაქტიკის ობიექტებზე ვიზიტი არჩევითი პრინციპით, სადაც ხორციელდება პროგრამა დუალური მეთოდით, ეს ობიექტებია სასტუმრონი „ჰილტონი“ და „ კასტელო მარე“. ადგილზე ექსპერტებმა დაათვალიერეს პრაქტიკის ობიექტები, შეამოწმეს თუ რამდენად არის უზრუნველყოფილი, ხელმისაწვდომი სამუშაო პირობები.გაესაუბრნენ პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებს, ასევე ინსტრუქტორებს და პროფესიულ სტუდენტებს, რომლებიც ვიზიტს დროს იქ იმყოფებოდნენ.
ინსტრუქტორთან გასაუბრებით ექსპერტებმა დაადგინეს, რომ მათ კარგად აქვთ გააზრებული დუალური სწავლების რაობა და პროგრამის სპეციფიკა, ეფექტურად მართავენ სასწავლო პროცესს, ხდება პროფესიული სტუდენტების დასწრების აღრიცხვა და სტუდენტების შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

ექსპერტების მიერ გადამოწმდა თუ როგორ მოხდა შედეგების დადასტურება ამ ორ პროგრამაზე, გადამოწმდა ელექტრონული აღრიცხვის ჟურნალები, სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალები, ფოტომასალა, ტესტები , მტკიცებულებები ფორმდება და ინახება შესაბამისი წესით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- დაწესებულების წესდებით;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით 01-02/82 13/07/2018 ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესის, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედური დამტკიცების შესახებ.
- საწარმოებთან გაფორმებული მემორანდუმებით და ხელშეკრულებებით;
- ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და ინსტრუქტორებთან გასაუბრებით;
- პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

დაწესებულებაში არსებობს და ვებგვერდზეა ატვირთული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (2018 წლის კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, პროგრამების მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაციების, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების, საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებში გამოსახული მოცულობისა და თვეებში გამოსახული სწავლის ხანგრძლივობის, პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების წესის შესახებ. კატალოგში ასახულია ინფორმაცია ანონსის სახით , რომ კოლეჯი გეგმავს „კულინარიის ხელოვნების“ პროგრამა განახორციელოს როგორც დუალური სწავლების მიდგომით, ასევე სასწავლებელშიც.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების ვებგვერდით *http://batumiprof.ge*
- http://batumiprof.ge/wp-content/uploads/2018/08/პროფესიული-საგანმანათლებლო-პროგრამების-კატალოგი-2018-1.pdf

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაცია:

<u>ვინაიდან კატალოგი წარმოადგენს სარეკლამო/საინფორმაციო დოკუმენტს, სასურველია მასში აისახოს დამატებითი ინფორმაციაც:დაწესებულების მიერ მიწოდებული სხვა სერვისების, აქტივობების, მიღწევების შესახებ, ასევე ფოტოებს და სხვა. დაწესებულებას შეუძლია კატალოგში აგრეთვე ასახოს:</u>

- <u>დაწესებულების ისტორია;</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

- <u>აკადემიური კალენდარი;</u>
- <u>ინფორმაცია სტუდენტების მიღების შესახებ;</u>
- <u>პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი;</u>
- <u>ინფორმაცია პრგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ;</u>
- <u>ჩართულობა სხვადასხვა პროექტებში;</u>
- <u>პრაქტიკა პარტნიორ ორგანიზაციებში;</u>
- <u>წარმატებული კურსდამთავრებულების შესახებ ინფორმაცია</u>

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტების ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შესაბამისობის დადგენისთვის შედარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის ჩარჩო დოკუმენტებს. კერძოდ,:

- მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კულინარიის ხელოვნება“ ჩარჩო დოკუმენტს ,,სასტუმრო, მომსახურება და კვება“ კვალიფიკაციის კოდით 010465.
- მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“ ჩარჩო დოკუმენტს ,,ინფორმაციის ტექნოლოგია“ კვალიფიკაციის კოდით 040171.

შედარების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტების ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- ჩარჩო დოკუმენტებით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები რომელიც გაწერილია სსიპ პროფესიული კოლეჯის „ბლექსის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში .

ვიზიტის დროს გადამოწმდა წარმოდგენილ პროგრამებზე ყველა პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე , სტატუსის მინიჭება პროფესიული სტუდენტებისთვის ხდება დაწესებულების რეგულაციისა და სრული კანონმდებლობის დაცვით. ასევე გადამოწმდა სტატუსშეჩრებული და შეწყვეტილი სტუდენტების პირადი საქმეები და ემისის ბაზა, პროცედურა შესაბამისობაშია მარეგულირებელ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

წესთან და მიმდინარეობს კანონმდებლობის სრული დაცვით, მათ შორის არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების შემთხვევაშიც.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეებით;
- ემისის ბაზით;
- დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში- სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები გათვალისწინებულია სსიპ პროფესიული კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2018 წლის 26 ივლისის #01-02/91 ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“(მუხლი 29. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები). პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი სტუდენტთან შეთანხმების გზით,
უზრუნველყოფს მის გადაყვანას ამავე კოლეჯის სხვა პროგრამაზე, ხოლო თუკი ეს ვერ ხერხდება მობილობისათვის დადგენილ წესებთან შეუსაბამობის გამო, კოლეჯი სტუდენტს შესთავაზებს გარე მობილობას და თანხმობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ ალტერნატიულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

დაწესებულებას ამ მიზნით გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სსიპ პროფესიულ კოლეჯთან „ლაკადა“, საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალ ტალღასთან“, ააიპ პროფესიულ კოლეჯთან „ჰორიზონტი“,სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯთან „ფაზისი“, რომლებიც ითვალისწინებს საზოგადოებრივ კოლეჯ „ბლექსიში“ საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას .

დასტურდება:

- პროფესიული კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2018 წლის 26 ივლისის #01-02/91 ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი“
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალ ტალღასთან“#2(5 ივლისი 2017) , #3(18 აგისტო2017)
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯთან „ფაზისი“ #1(01 მარტი 2017)
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ააიპ პროფესიულ კოლეჯთან „ჰორიზონტი“ #1(22 აგვისტო 2017)
- სსიპ პროფესიულ კოლეჯთან „ლაკადა“,29 ივნისი 2018

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.
ამ მიზნით კოლეჯში შექმნილია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები. დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის მიზნით შექმნილია ხარისხის უზრუნველყოფის სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი. აღნიშნული სისტემა ითვალისწინებს დაგეგმე- განახორციელე-შეამოწმე-განავითარე ციკლს, ციკლის თითოეული ეტაპი გაწერილია მასში ჩართული სტრუქტურული ერთეულების/პირების მითითებით. სისტემა ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას, დაწესებულების მიერ შემუშავებულია კითხვარები სტუდენტისთვის, მასწავლებელისთვის(თვითშეფასების კვლევა) და დამსაქმებლისთვის. კითხვარები ატვირთულია ვებგვერდზე, მათი გამოყენებით დაწესებულების წარმომადგენლები ახდენენ პროგრამის განხორციელების შეფასებას. ვიზიტის დროს გადამოწმდა ჩატარებული გამოკითხვის და ანალიზის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები, პროგრამებში და რეგულაციებში განხორციელებული ცვლილებები, სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები .ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა ანგარიში 2017 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ, სადაც წარმოდგენილი იყო რეკომედაციები სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებით;
- დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით;
- ანგარიშით 2017 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

- ხარისხის უზრუნველყოფის სამუშაო ჯგუფის მუშაობის ამსახველი მასალებით;
- კოლეჯის ვებგვერდით;

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ პროფესიული კოლეჯი მდებარეობს ქ.ბათუმში, ლერმონტოვის ქ.84, ამ მისამართზე მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. კოლეჯს ასევე მფლობელობაში აქვს სხვა მისამართზე რეგისტრირებული ფართი, ქ.ბათუმი დ.თავდადებულის ქ.N61, რომელშიც სასწავლო პროცესი არ მიდინარეობს.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ.ბათუმი ლერმონტოვის ქუჩა N84 **(მიმდინარეობს სასწავლო პროცესი)**	2071,99
2	ქ.ბათუმი დ.თავდადებულის ქუჩა N61 **(არ მიმდინარეობსსასწავლო პროცესი)**	2377,60

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საჯარო რეესტრიდან ამონაწერებით [redacted]
- კოლეჯის სასწავლო შენობის ფაქტობრივი მდგომარეობის ვიზუალური დათვალიერებით;
- დაწესებულების წარმომადგელებთან გასაუბრებით.

შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „კულინარიის ხელოვნების“ და „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ გახორციელების ადგილი, გადამოწმდა ორივე პროგრამისთვის საჭირო A,B და C გარემო: თეორიული სწავლების 6 აუდიტორია, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი 3 აუდიტორია, 1 სამზარეულო და 1 პირველადი სამედიცინო დახმარების ოთახი. პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო A, B და C სასწავლო გარემო სრულად აღჭურვილია სათანადო ივენტარით, პროგრამული უზრუნველყოფითა და ტექნიკით მათ შორის:

<u>კულინარიის ხელოვნების განხორციელებისთვის</u> - 18 მაგიდა და სკამი, კომპიუტერი და პროექტორი - პირველადი სამედიცინო დახმარების ოთახში; 16 მაგიდა და სკამი - თეორიული სწავლების აუდიტორიებში; 21კომპიუტერი - 1 კომპიუტერულ ლაბორატორიაში(B გარემო); შენობის პირველ სართულზე მდებარე სამზარეულოში მოწყობილია C გარემო 15 პროფესიული სტუდენტისთვის ერთ ცვლაში.

<u>ინფორმაციის ტექნოლოგიის განხორციელებისთვის</u> - 21-21 კომპიუტერი- 3 კომპიუტერულ ლაბორატორიაში (A და B გარემო) ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

ვიზიტის დროს ასევე გადამოწმდა სათანადო ინვენტარით აღჭურვილი კოლეჯის საერთო სასწავლო ფართი. სურათი ასეთია:

სულ კომპიუტერების რაოდენობა- 163, პრინტერი-19, ქსეროქსი-2, პროექტორი-14,სკამები ადმინისტრაციისთვის-65, მაგიდები ადმნისტრაციისთვის-35, სკამები სტუდენტებისთვის - 410, მაგიდები სტუდენტებისთვის 401.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს პროგრამისთვის გამოყოფილ სასწავლო გარემოს ოდენობას, ფართს, სასწავლო პროცესის გრაფიკს, პროგრამის ხანგრძლივობას და სპეციფიკას, მოდულური პროგრამის მოთხოვნადობას, პროგრამის განხორციელების მიდგომებს (საგნობრივი, მოდულური, დუალური), პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობებს, მემორანდუმის/ხელშეკრულების პირობებში საწარმოში მისაღები პროფესიული სტუდენტების მაქსიმალურ რაოდენობას.

ექსპერტთა შეფასებით სასწავლო გარემო შეესაბამება მოდულებში მოცემულ სასწავლო გარემოს მოდელს. ზემოთაღნიშნული პროგრამებისთვის გამოყოფილი სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი საკმარისია ამ პროგრამებისთვის დამატებით მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობისთვის (პროგრამისთვის კულინარიის ხელოვნება,რომელიც განხორციელდება დაწესებულებაში, 30 პროფესიული სტუდენტი ორ ცვლაში, ხოლო პროგრამისთვის, რომელიც განხორციელდება დუალური მეთოდით, 60 პროფესიული სტუდენტი ; პროგრამისთვის ინფორმაციული ტექნოლოგია,რომელიც განხორციელდება დაწესებულებაში, 60 პროფესიული სტუდენტი ორ ცვლაში).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ემისის ბაზით;
- მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გადამოწმებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

- ინვენტარიზაციის დოკუმენტაციით;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- გასაუბრებით დაწესებულების წარმომადგენელთან;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათება უზრუნველყოფილია ყველა სიცრცეში, სადაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და გათბობა ელექტროღუმელების/კონდენციონერების გამოყენებით. სველი წერტილებში უზრუნველყოფილია სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის სასწავლო შენობის ფაქტობრივი მდგომარეობით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

- კოლეჯის მიერ კომუნალური ხარჯებისთვის გადახდილი ქვითრებით;
- დაწესებულების წარმომადგელებთან გასაუბრებით.

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
[ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
საბიბლიოთეკო ფონდი აღრიცხულია როგორც ბეჭდურ, ასევე ელექტრონულ კატალოგში, ელექტრონული კატალოგი განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზე. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია ბიბლიოთეკში და განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზე. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. მოქმედებს მკითხველის ბარათები, დგას პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები. ბიბლიოთეკის სამკითხველო სივრცეში დგას ექვსი სამ ადგილიანი მაგიდა, ათი სკამი და ექვსი კომპიუტერი, რომლებშიც ჩატვირთულია კატალოგები და ელექტრონული ლიტერატურა. ბიბლიოთეკაში წარმოებს ბიბლიოთეკის მკითხველის სარეგისტრაციო და წიგნის გატანის სარეგისტრაციო ჟურნალების.
ვიზიტის დროს შესამოწმებლად წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა სრულად არის წარმოდგენილი ბიბლიოთეკის ფონდში. ყოველწლიურად ხდება ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის საჭირო ლიტერატურით შევსება.
ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ განახორციელა ცვლილება ბიბლიოთეკის სარგებლობის წესში. კერძოდ შეიცვალა ტექნიკური ხარვეზი ტერმინის დონეზე - ტერმინი "აკადემიური პერსონალი" შეიცვალა ტერმინით „პროფესიული განათლების მასწავლებელი"; ასევე შეიცვალა წიგნის გაცემის წესი,კერძოდ თუ დაწესებულების ბიბლიოთეკაში ერთ ეგზემპლიარად ჰქონდა წიგნი, მისი გატანის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

უფლება მხოლოდ 2 დღით ჰქონდა პროფესიულ სტუდენტს. ცვლილების შემდეგ , ერთ ეგზემპლიარად არსებული წიგნის ბიბლიოთეკიდან გატანა არ შეიძლება, წიგნი მხოლოდ სამკითხველო დარბაზში გაიცემა. **(დანართი 2)**

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნები;
- ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონული კატალოგებით;
- ხელშეკრულებით;
- ვებ გვერდით (http://batumiprof.ge/ბიბლიოთეკა/)
- წიგნადი ფონდის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაცით;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით;
- დირექტორის ბრძანებით N 1-02/122 24/08/2018 ბიბლიოთეკით სარგებლობის წესში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში. დაწესებულებას მფლობელობაში გააჩნია 129 კომპიუტერი პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

სტუდენტებისთვის, 34 კომპიუტერი პერსონალისთვის, 19 პრინტერი, 2 ქსეროქსი, 14 პროექტორი და 5 ტელეფონი;

კომპიუტერები განლაგებულია აუდიტორიებსა და ბიბლიოთეკაში, რომლითაც სარგებლობენ პროფესიული სტუდენტები და პროფესიული განათლების მასწავლებლები. ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ოთახებიც აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის და საჭიროების საინფორმციო-საკომუნიკაციო საშუალებებით. ყველა კომპიუტერი უზრუნველყოფილია ინტერნეტის უწყვეტი მიწოდებით .

ექსპერტთა შეფასებით დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა და რაოდენობა შესაბამისი და ადეკვატურია იმ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომელზეც დაწესებულება გამოთქვამს პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობის გაზრდის სურვილს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

შეფასება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შედეგად მიღებული ინვენტარის მიღება - ჩაბარების აქტებით.
- ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებით;
- პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრებით;
- კომპიუტერების პარამეტრების და პროგრამული უზრუნველყოფის შემოწმებით.

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

კოლეჯში საქმისწარმოება მიმდინარეობს კოლეჯის საქმისწარმოების წესის შესაბამისად. დაწესებულება ჩართულია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამაში Eflow; დაწესებულება ასევე აწარმოებს პერმანენტულად ინფორმაციის შევსებას ელექტრონული მართვის სისტემაში, გამოყოფილია ემისის ბაზაში ინფორმაციის სისრულეზე და განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა ელექტრონული ბაზების შევსების სისრულე , დარღვევები და უზუსტობები არ დაფიქსირებულა.
დაწესებულებაში მოქმედებს ბრძანებების 5(ბრძანებებისთვის ძირითადი საქმიანობის შესახებ, ადმინისტრაციული სახის ბრძანებებისთვის,პ/შ-ის ბრძანებებისთვის, ბრძანებებისთვის პროფესიული სტუდენტების მოძრაობის შესახებ, მოკლევადიანი კურსების ფარგლებში სარეგისტრაციო წიგნი) და ხელშეკრულებების რეგისტრაციის 2 ჟურნალი (სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის). ჟურნალების გვერდები დანომრილია და აკინძულია წესების დაცვით.

ვიზიტის დროს გადამოწმდა ბრძანებები და ხელშეკრულებები შერჩევითად,დოკუმენტები სწორად იყო გატარებული ჟურნალებში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის ბრძანებით N 01-02/87 18/07/2017 სსიპ პროფესიული კოლეჯის ,,ბლექსი“ საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ;
- დირექტორის ბრძანებით N01-02/69 04/06/2018 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრში მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები-შტატი, სადღეღამისო დარაჯი, ვიდეოსათვალთვალო კამერა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა)დაწესებულების მიერ გაწერილია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოების ნორმები.

ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი განთავსებულია შენობის თითოეულ სართულზე, მოწყობილია სპეციალური სახანძრო სტენდები, გადამოწმებით დადგინდა, რომ ცეცხლმაქრები დამუხტულია და ვადიანია.

ბ) ყველა სართულზე გამოკრულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული საევაკუაციო გეგმები.

გ) დაწესებულებაში ფუნქციონირებს პირველადი სამედიცინო დახმარების ოთახი და შეძენილია პირველადი დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტები, რომელთა ვადების კონტროლი ხდება სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების დოკუმენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. დაწესებულების საშტატო განრიგით გათვალისწინებულია მედდა.

კოლეჯში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ასევე სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და საგანგებო სიტუაციების დროს გასატარებელი ღონისძიებების ინსტრუქცია.

დ) კოლეჯის შინაგანაწესში გაწერილია ეთიკის ნორმები, კოლეჯის ტერიტორიაზე ქცევის ზოგადი წესები, სტუდენტების, მსმენელებისა და თანამშრომლების, ასევე, მესამე პირთა ქცევისა და გადაადგილების წესები, განსაზღვრულია, თუ როგორ უნდა მოხდეს რეაგირება ამ წესების დარღვევისას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით.
- კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმებით;
- სსიპ პროფესიული კოლეჯის ,,ბლექსი" შინაგანაწესი
- დამტკიცებული საევაკუაციო გეგმით;
- ხანძარსაწინააღმდეგო და სამედიცინო ინვენტარის, ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- წესრიგის დამცველებთან და სამედიცინო პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებებით;

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯში არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო, მათ შორის: სველი წერტილები შესაბამისი კარებითა და სველ წერტილებში არსებული დასაყრდნობი სახელურებით, შენობაში ასასვლელ შიდა კიბეებზე დამონტაჟებულია პანდუსები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვებ-გვერდი http://batumiprof.ge ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები, დაწესებულების სტრუქტურა, დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები, ინფორმაცია ხარისხის სამსახურის შესახებ, ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 2018 წლის კატალოგი, ერთწლიანი განვითარების სამოქმედო გეგმა და ექვსწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა, კითხვარები, საკონტაქტო ინფორმაცია, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურის ჩამონათვალი, ფოტო-გალერეა. ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ბოლოს ვებგვერდი განახლებული იქნა 2018წლის 21აგვისტოს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებ-გვერდით http://batumiprof.ge
- დომეინის და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით დაწესებულებაში შემუშავებულია და დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს კოლეჯის წარმომადგენლმა წარმოადგინა ყოველწლიური ანგარიშები დაწესებულების სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებით;
- კოლეჯის მისიით;
- კოლეჯის ვებგვერდით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაცია:
სასურველია დაწესებულების სამოქმედო გეგმებში გაიწეროს სამუშაოს შესრულების ვადები უფრო დაზუსტებულად და განისაზღვროს შესრულების ინდიკატორები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ გადამოწმდა დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეები. დაწესებულების პერსონალის რაოდენობა ვიზიტის დროს იყო - 15 ადმინისტრაციული, 12 ტექნიკური და 6 შტატგარეშე თანამშრომელი- 2 ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, 1ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ასისტენტი და 3 ჟესტური ენის თარჯიმანი. ზემოთაღნიშნული თანამდებობების საკვალიფიკაციო მოთხოვნები ვიზიტის პირველი დღისთვის დაწესებულებას არ ქონდა გაწერილი, შესაბამისად ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მედდის , ბიბლიოთეკარის და იურისტის პირადი საქმეები,მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს ლოგიკურად. დაწესებულებამ მიიღო რეკომენდაცია ექსპერტების მიერ,დეტალურად შეემუშავეებინათ შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.ვიზიტის ბოლო დღის დასასრულს დაწესებულებამ წარმოუდგინა ექსპერტებს საშტატო განრიგის მიხედვით ყველა თანამდებობის საკვალიფიკაციო მოთხოვნა. ექსპერტების მიერ მოხდა მხოლოდ დოკუმენტის გაცნობა და პირად საქმეებთან შესაბამისობის დადგენა ვერ მოხერხდა , დოკუმენტი თან ერთვის დასკვნას **(დანართი 3);**

<u>ექსპერტებმა მისცეს რეკომენდაცია დაწესებულების წარმომადგენელს, გაასწორონ ტექნიკური ხარვეზები დოკუმენტში, კერძოდ ტერმინი „უმაღლესი აკადემიური განათლება“ შეიცვალოს ტერმინით „ აკადემიური უმაღლესი განათლება“.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის ბრძანებებით პერსონალის დანიშვნის შესახებ;
- კოლეჯის პერსონალის პირადი საქმეებით და შრომითი ხელშეკრულებებით;
- დაწესებულების პერსონალთან გასაუბრებით;
- კოლეჯის ვებგვერდით;
- სსიპ პროფესიული კოლეჯის ,,ბლექსი“ თანამშრომელთა სამსახურეობრივი ინსტრუქციებით;
- სსიპ პროფესიული კოლეჯის „ბლექსი“ დირექტორის ბრძანებით N 1-02/123 24/08/2018 საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობების საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. ვიზიტის დროს შემოწმდა თითოეული მასწავლებლის პირადი საქმე, აგრეთვე მოხდა მათთან გასაუბრება. მათი კომპეტენცია და გამოცდილება შეესაბამება პროგრამების მოთხოვნებს, ისინი კარგად იცნობენ პროგრამების სპეციფიკას და შეფასების თავისებურებებს.

დაწესებულების რეესტრის მიხედვით პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა შეადგენს 41, ხოლო პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა 209;

<u>ინფორმაცია პერსონალის შესახებ პროგრამების მიხედვით:</u>

<u>კულინარიის ხელოვნება</u> - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის არსებული რაოდენობა - 42 (მათ შორის 27 ინსტრუქტორი 8 საწარმოდან) , პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დამატებული რაოდენობა 21(მათ შორის 16 ინსტრუქტორი).

<u>ინფორმაციის ტექნოლოგია</u> - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის არსებული რაოდენობა - 14.

ექსპერტთა შეფასებით ზემოთაღნიშნული პროგრამებისთვის გამოყოფილი შესაბამისი კვალიფიაციის მქონე პერსონალი საკმარისია ამ პროგრამებისთვის დამატებით მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- საინფორმაციო ბაზით evet.emis.ge.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები და წინარე შრომითი ხელშეკრულებები კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით;
- დოკუმენტაციით, სადაც დაწესებულების მიერ დადგენილია პირობები ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

1	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/საგნობრივი პროგრამებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის რაქართულენოვანი ტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	კულინარიის ხელოვნება	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში; 010465	80	95	ქართული	ქ.ბათუმი, ლერმონტოვის N 84	13	60
2	ინფორმაციის ტექნოლოგია	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში; 040171	60	75	ქართული	ქ.ბათუმი, ლერმონტოვის N 84	31	60

IX. თანდართული დოკუმენტაცია

სულ 9 ფურცელი:

დანართი 1 – 2 ფურცელი
სსიპ პროფესიული კოლეჯში "ბლექსი" ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დღის წესრიგი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

დანართი 2 – 2 ფურცელი
სსიპ პროფესიული კოლეჯის „ბლექსი“ დირექტორის ბრძანება N 1-02/122 24/08/2018 ბიბლიო-თეკით სარგებლობის წესში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

დანართი 3 – 5 ფურცელი
სსიპ პროფესიული კოლეჯის „ბლექსი“ დირექტორის ბრძანება N 1-02/123 24/08/2018 საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობების საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ;

3 სექტემბერი, 2018 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018